



# საქართველო და ჩრდილოეთი კავკასია

ალექსანდრე კვახაძე

## შესავალი

ჩრდილოეთი კავკასია საქართველოს სამეზობლოში ერთ-ერთი საკვანძო რეგიონია. იქ მიმდინარე პროცესები პირდაპირ თუ ირიბად საქართველოსაც ეხება. ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა ურთიერთობები მრავალ ათასწლეულს ითვლის. ჩრდილოკავკასიელი ერების არაერთი წარმომადგენელი სახლობს საქართველოში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღეისათვის ჩვენში ცოტა რამ თუ ვიცით ამ ჩრდილოელი მეზობლების შესახებ. სამწუხაროდ, ქართულ მედიაში სხვა კონტინენტებზე მიმდინარე მოვლენებს გაცილებით მეტი დრო ეთმობა, ვიდრე მეზობელ ჩეჩნეთს ან დაღესტანს. ისიც ცხადია, რომ ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობები დღეს არ არის ისეთი მჭიდრო, როგორც უნდა იყოს...

## ორმხრივი ურთიერთობების მიმოხილვა

რატომ არის მნიშვნელოვანი საქართველოსათვის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონი? პირველ რიგში, საქართველო არის ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც ესაზღვრება ჩრდილოეთ კავკასიის ექვს რესპუბლიკას, კერძოდ, დაღესტანს, ჩეჩნეთს, ინგუშეთს, ჩრდილოეთ ოსეთს, ყაბარდო-ბალყარეთსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთს. თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობით საქართველო წარმოადგენს კავკასიის ცენტრს. მეორე მიზეზი, რის გამოც გვჭირდება ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობა, არის ის უხილავი ძაფები, რომლებიც მთელ კავკასიას ერთმანეთთან აკავშირებს. ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებული ნებისმიერი კონფლიქტი აუცილებლად აისახება საქართველოზე. მაგალითად, რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს საქართველომ მიიღო ლტოლვილთა დიდი ნაკადი, შეიქმნა კრიზისული ვითარება, რომლის გამოც ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო ძლიერ დაზარალდა. ისიც თამამად უნდა ითქვას, რომ კულტურულად, გენეტიკურად და ისტორიულად ჩრდილოკავკასიელები და ქართველები საკმაოდ ახლობელი ხალხებია.

**რუსეთ-ჩეჩნეთის ომი** დაიწყო 1994 წელს, როდესაც რუსეთის არმიამ ჩეჩნეთის რესპუბლიკაზე კონტროლის დამყარება სცადა. პირველი ომი 1996 წელს ჩეჩენი ხალხის გამარჯვებით დასრულდა, რის შედეგადაც რუსულმა საჯარისო დანაყოფებმა დატოვეს რესპუბლიკა. ჩეჩნეთის მეორე ომი დაიწყო 1999 წელს. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ვლადიმერ პუტინმა შეძლო ჩეჩნეთზე კონტროლის დამყარება. რუსეთის ქმედების შედეგად რამდენიმე ათეული ათასი მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა, ხოლო ჩეჩნეთის დედაქალაქი გროზნი კი მიწასთან გასწორდა.



**ჩეჩენი მებრძოლები აღნიშნავენ გამარჯვებას**



**რუსი სამხედრო დანგრეული გროზნოს ფონზე, 1999**

ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა ნათესაობა სხვადასხვა ნიშნით დასტურდება. ენობრივი თვალსაზრისით, ქართველური და ჩრდილოკავკასიური ენები (გარდა ოსურისა) ერთიან იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს ქმნიან. ამ ნათესაობის დასასაბუთებლად ენათმეცნიერებს, გარდა საერთო ფონეტიკური და გრამატიკული მახასიათებლებისა, მოჰყავთ იბერიულ-კავკასიურ ენათა ძირითად ლექსიკაში დადასტურებული ისეთი საერთო კუთვნილების სიტყვები, რომელთა საერთო ძირები საკუთრივ იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენიდან მომდინარე ჩანს, მაგ.: ქართული „გული“ და ჩერქეზული „გუ“, ჩეჩნური „დუოგ“; ქართული „ათი“ და ჩეჩნური „ითი“; ქართული „სული“ და ჩეჩნური „სა“, ჩერქეზული „ფსე“ და ასე შემდეგ.

ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა უძველესი საერთო რწმენა-წარმოდგენები კარგად არის ასახული მუსიკალურ და ზეპირსიტყვიერ ფოლკლორში. მაგალითად ამირანის მითიც გამოდგება. ცეცხლის მომპოვებელი და შემდგომ

კავკასიის მთებზე მიჯაჭვული გმირის – ამირანის (რომელიც, თავის მხრივ, ბერძნული პრომეთეს ანალოგია) მსგავსი გვხვდება ყველა კავკასიური ხალხის ფოლკლორში: ჩეჩნური და ინგუშური „ფჰარმათი“, ჩერქეზული „სასრიყვა“ და აფხაზური „აბრსკილი“. დიდია მსგავსება ყოფით კულტურასა და ტრადიციებშიც. კავკასიელთა სამოსი – ჩოხა, რომელიც საზიაროა კავკასიონის ქედის ორივე მხარისთვის, თამამად შეიძლება მივიჩნიოთ კავკასიის „სავიზიტო ბარათად“. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ადათ-წესების ერთობლიობისა და ღირსების კოდექსებს, მაგალითად, ჩეჩნურ „ნოხჩალას“, ჩერქეზულ „ადილე საბზეს“, ყარაჩაი-ბალყარულ „თაუ ადათს“, ძალიან ბევრი საერთო აქვს ქართველ მთიელთა ადათ-წესებთან. აღსანიშნავია პარალელები არქიტექტურაშიც. არასპეციალისტისთვის თუ შურ-ხევსურული და ჩეჩნურ-ინგუშური კომპლექსის ერთმანეთისგან გარჩევა პრაქტიკულად შეუძლებელია, ხოლო ყარაჩაიში სვანურის მსგავსი არაერთი კომპი გვხვდება.

ჩრდილოკავკასიელთა და ქართველთა მეზობლობას მრავალი სიკეთე ახლავს. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ფარნავაზ მეფის მეუღლე დურძუკეთიდან (თანამედროვე ინგუშეთიდან) იყო. მას შემდეგ საქართველოს არაერთი მეფე თუ თავადი ქორწინდებოდა ჩრდილოკავკასიელ დიდგვაროვნებზე. ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების ყველაზე ნათელი პერიოდი, ალბათ, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქა იყო. შეიძლება ითქვას, რომ იმდროინდელი საქართველო იყო გაერთიანებული კავკასიური სახელმწიფო, სადაც ჩრდილოკავკასიელებს საქართველოსთან ვასალური ურთიერთობა ჰქონდათ. ამ პერიოდის დასტურია ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი ძეგლები, როგორიც არის ტყობა-ერდისა და ალბი-ერდის ქრისტიანული ტაძრები ინგუშეთში და დათუნას ეკლესია დალესტანში. მეტიც, დალესტანში იმ პერიოდის არქეოლოგი-

**ჩეჩენი ბავშვები**







დათუნას ეკლესია  
დალესტანში



ტყოზა-ერდის ტაძარი  
ინგუშეთში



ალზი-ერდის ტაძარი ინგუშეთში

ურ მასალაში ნაპოვნია ქართული ანბანის გამოყენებით შესრულებული ხუნძური წარწერები.

საქართველოს ურთიერთობა ჩრდილოკავკასიელებთან არც შემდგომ პერიოდში განელეზულა. საქართველომ 1918 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა. საარქივო დოკუმენტებიდან ცნობილია, რომ იმ დროს დალესტანის მთიანი ნაწილი საქართველოს შემადგენლობაში შესვლასაც კი ითხოვდა, თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ ეს წინადადება არ მიიღო. ცნობილია, რომ ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო იმჟამად მხარს უჭერდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის თავისუფლებისათვის ბრძოლას. 1921 წელს, საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, ევროპაში გადასახლებული ქართველი და ჩრდილოკავკასიელი დისიდენტები ერთად მოღვაწეობდნენ ევროპის ქვეყნებში. საბჭოთა ოკუპაციის პირობებშიც კი ინტენსიური კულტურული კავშირი არსებობდა ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა შორის. ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში განათლებას იღებდნენ ჩრდილოეთ კავკასიის სამეცნიერო ელიტა და კულტურის მოღვაწეები. აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიური ენების კათედრა ჩამოაყალიბა, სადაც ამ ენათა შესწავლა მიმდინარეობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების უმრავლესობა (ოსებისა და ჩერქეზთა ნაწილის გარდა) სარწმუნოებით არის მუსლიმი. მიუხედავად ამისა, ქართველებსა და ჩრდილოკავკასიელებს შორის ისტორიულად არ ფიქსირდება რელიგიის ნიადაგზე მომხდარი კონფლიქტი. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ხალხების ურთიერთობაში რელიგია მეორე პლანზე იყო და უპირატესობა საერთო-კავკასიურ იდენტობას ენიჭებოდა. ამას მოწმობს ყონალობის ინსტიტუტი, როდესაც ქართველები და ჩრდილოკავკასიელები რამდენიმე წლით ერთ-

მანეთს უცვლიდნენ ბავშვებს, რათა ოჯახებს შორის დაახლოება და დანათესავება მომხდარიყო. ყონალობა გავრცელებული იყო რაჭველებსა და ბალყარელებს, სვანებსა და ყარაჩაელებს, კახელებსა და დალესტანელებს, მეგრელებს, აფხაზებსა და ჩერქეზებს შორის და ხელს უწყობდა ხალხების ერთმანეთთან დაახლოებას.



**იმაში შამილი (1797-1871)** – კავკასიის მთის ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მეთაური რუსეთ-კავკასიის ომის დროს. მისი თაოსნობით კავკასიელმა ხალხებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსეთის იმპერიის ძალებს, რომლებიც ბევრად აღემატებოდნენ კავკასიელებს. საბოლოოდ, 1859 წელს, იმაში შამილი ლუნიხის ციხის აღყისას ტყვედ ჩაუვარდა რუსეთის იმპერიას. ტყვეობისას ის ცხოვრობდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქში. 1870 წ. შამილს ნება დართეს მექაში გამგზავრებულიყო. გარდაიცვალა ქ. მედინაში.

**ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა** – სახელმწიფო ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც შეიქმნა 1917 წელს რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. მის შემადგენლობაში შედიოდა დღევანდელი ჩრდილოეთ კავკასიის უდიდესი ნაწილი. ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა აღიარა თურქეთმა, გერმანიამ, საქართველომ, აზერბაიჯანმა, ბულგარეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, ავსტრია-უნგრეთმა და ყუბანის რესპუბლიკამ. ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკამ არსებობა 1920 წელს, საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, შეწყვიტა.




**ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის დროშა**

**საზრთოხაჯი და გამონკვევები**

მიუხედავად დიდი სიახლოვისა, ქართულ-ჩრდილოკავკასიურ ურთიერთობებში რთული პერიოდებიც იყო. XVI საუკუნეში საქართველოს დაშლას მოჰყვა ლეკიანობა და ოსიანობა, რაც ნიშნავს ჩრდილოკავკასიელ მთიელთა შემოსევას საქართველოს ბარში, მოსახლეობის ძარცვასა და ადამიანების ტყვედ წაყვანას. ამ პროცესმა უდიდესი ზიანი მიაყენა საქართველოს. ეს ყველაფერი გარე ძალების – ირანისა და ოსმალეთის იმპერიის ინსპირირებული იყო და მიზნად ისახავდა იმდროინდელი ქართული სამეფოების კიდევ უფრო დასუსტებას.

ვითარება გართულდა XVIII საუკუნეში, კავკასიაში რუსეთის იმპერიის შემოსვლის შემდეგ. რუსეთის იმპერიალისტიური პოლიტიკა ქართველთა და ჩრდილოკავკასიელ ხალხთა შორის შუღლის ჩაგდებაზე იყო ორიენტირებული. მაგალითად, XIX საუკუნეში, რუსეთ-კავკასიის ომის დროს, რუსეთი აქტიურად იყენებდა მის მიმართ ლოალურად განწყობილ ქართველ სამხედროებს. კავკასიელ მებრძოლებს ლიდერი, იმამი შამილი, სულაც ქართველი გენერლის (იგულისხმება გრიგოლ ორბელიანი) დახმარებით დაატყვევეს. ამგვარი პოლიტიკა XX საუკუნის 40-იან წლებშიც გრძელდებოდა, როდესაც სტალინისა და ბერიას ხელმძღვანელობით მოხდა კავკასიელ ხალხთა დეპორტაცია. თუმცა ეს არ ასახულა ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა ურთიერთობებზე. მაგალითად, როდესაც დეპორტირებული ჩეჩნები, ინგუშები და ყარაჩაი-ბალყარელები უკან დაბრუნდნენ, მათ ადგილებში ჩასახლებულმა ქართველებმა სახლები ხელუხლებლად დაახვედრეს და ულაპარაკოდ დაუთმეს.

კავკასიის ხალხთა შორის შუღლის კიდევ უფრო გასაღრმავებლად რუსეთმა აფხაზეთის ომში საქართველოს წინააღმდეგ აქტიურად გამოიყენა ჩრდილოკავკასიური ფაქტორი. კერძოდ, ხელოვნურად შეიქმნა „კავკასიის ხალხთა კონფედერაცია“, რომელშიც სხვადასხვა ჩრდილოკავკასიელი ხალხი გაწევრიანდა. რუსეთიდან იარაღით მომარაგებული „კავკასიის ხალხთა კონფედერაციის“ წევრები აფხაზეთის ომში აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს წინააღმდეგ და მონაწილეობდნენ აფხაზეთიდან ქართველების განდევნაში. რუსეთის ხელისუფლებამ მსგავს პოლიტიკას მიმართა 2008 წელს ცხინვალის რეგიონში რუსეთ-საქართველოს ომში, როდესაც საქართველოს წინააღმდეგ ჩეჩნებით დაკომპლექტებული შეიარაღებული ჯგუფები – „ვოსტოკი“ და „ზაპადი“ გამოუშვა. მიუხედავად ყველაფრისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არ არის არც ქართველი და არც ჩრდილოკავკასიელი ხალხების ნება და გარეშე ძალებისგანაა თავს მოხვეული.



**არნოლდ ჩიჰოზაჰა (1898-1985)** – გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი, იბერიულ-კავკასიური თეორიის ავტორი. ეს თეორია ეფუძნება მოსაზრებას ქართველურ და ჩრდილოკავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ. ა. ჩიჰოზაჰამ სრულყოფილად შეისწავლა ერთი დაღესტნური – ხუნძური – ენა და დანერა ამ ენის გრამატიკის სახელმძღვანელო. გარდა ამისა, არნოლდ ჩიჰოზაჰამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნა კავკასიურ ენათა კათედრა, სადაც ჩრდილოკავკასიურ ენებს ასწავლიდნენ.



დღეს ჩრდილოეთ კავკასიას კიდევ ერთი პრობლემა უკავშირდება – ეს არის ტერორიზმი. ისტორიულად კავკასიაში გავრცელებული არ ყოფილა მსგავსი ფორმის პოლიტიკური ძალადობა, მაგრამ ვითარება რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს შეიცვალა. რუსეთთან ომის შედეგად გამოფიტულმა ჩეჩენმა მებრძოლეებმა დიდი დახმარება მიიღეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში არსებული სხვადასხვა დაჯგუფებისგან და ამ დახმარებაში ახალი იდეოლოგიისა და ახალი ტაქტიკის გავრცელებაც შედიოდა. ნელ-ნელა შეიცვალა ჩეჩენ მებრძოლთა მსოფლმხედველობა. თუკი მანამდე მათი მთავარი მიზანი იყო ჩეჩნეთის განთავისუფლება რუსეთისაგან, აღნიშნული ცვლილებების შემდეგ მათი ბრძოლა გლობალური ჯიჰადის ნაწილი გახდა. რუსეთმა იმავდროულად ოსტატურად დაუკავშირა ჩეჩნეთი საერთაშორისო ტერორიზმს, რამაც მას როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ასპარეზზე გაუხსნა ხელ-ფეხი.

რა საფრთხეს უქმნის ყოველივე ეს საქართველოს? ქვეყნისათვის საფრთხეს წარმოადგენს სხვადასხვა ტერორისტულ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ჩრდილოკავკასიელ მებრძოლთა მიერ საქართველოს დერეფნად გამოყენების მცდელობა. საქართველოს საკმაოდ ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობები აქვს, მასზე გადის ახლო აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთ კავკასიისკენ მიმავალი უმოკლესი მარშრუტი, რაც ჩვენს ქვეყანას მიმზიდველს ხდის სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციისთვის. შესაძლოა, ამ ორგანიზაციებს და მათ წევრებს სულაც არ ჰქონდეთ ცუდი განზრახვა საქართველოს მიმართ, მაგრამ აქ ასეთი პირობის ყოფნა საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო სახელს და საბაბს აძლევს რუსეთს, რომ უფრო აქტიურად ჩაერთოს ჩვენს შიდაპოლიტიკურ პროცესებში.

### მომავლის პერსპექტივა

საქართველოს რეგიონულ პოლიტიკაში ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანას გაუძლიერდეს ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ ინტერესი, აუცილებელია ნაბიჯების გადადგმა რამდენიმე საკვანძო მიმართულებით. უდავოა, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებაა ქართულმა უმაღლესმა სასწავლებლებმა რაც შეიძლება მეტი ჩრდილოკავკასიელი სტუდენტი უნდა მოიზიდონ, რათა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისინი საქართველოს მეგობრებად და მშვიდობის ელჩებად იქცნენ. სისტემატურად უნდა ჩატარდეს ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები, გამოფენები, კვლევითი პროექტები, ფოლკლორული ფესტივალები და სხვა კულტურული ღონისძიებები.

ქართული ანბანით  
შესრულებული  
ხუნძური წარწერა



ჩრდილოკავკასიელი ხალხებისთვის უმნიშვნელოვანესია ისტორიული სიმართლის დადგენა. თბილისის არქივში ინახება უამრავი ისტორიული დოკუმენტი, რომელშიც ასახულია რუსეთის იმპერიისა თუ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩრდილოკავკასიელი ხალხების მიმართ ჩადენილი სამხედრო თუ ჰუმანიტარული დანაშაული. მაგალითად, როდესაც საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 20 მარტს ოფიციალურად ცნო ჩერქეზი ხალხის გენოციდი, აღიარების დოკუმენტი დიდნილად თბილისის არქივში აღმოჩენილ მასალებს ეყრდნობოდა. ჩერქეზების მსგავსად, ქართულმა საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს სხვა კავკასიელი ხალხების ტრაგიკული ისტორიის შესწავლასა და წარმოჩენას. ეს კიდევ უფრო დააახლოვებს ჩვენს ხალხებს.

**ჯიჰადი** – ისლამში მიღებული ომის წარმოების წესები. დღეს ამ სიტყვით აღინიშნება ისლამურ-რევოლუციური ძეგარადებული კონფლიქტები ზოგიერთ ისლამურ და არაისლამურ სახელმწიფოში. კონფლიქტი ავღანეთში, ერაყში, სომალიში, სირიაში, იემენში, ლიბიაში და მსოფლიოს სხვა ნერტილებში გლობალურ ჯიჰადად არის მიჩნეული.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ პროექტებს. იმ შემთხვევაში, თუ საქართველომ სათანადოდ განავითარა ჩრდილოეთ კავკასიასთან მოსაზღვრე რეგიონები, როგორცაა ხევი, ხევსურეთი, თუშეთი, რაჭა და სვანეთი, ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება ჩრდილოკავკასიელი ტურისტებისთვის. საქართველოს ასევე შეუძლია მოიზიდოს ჩრდილოკავკასიელი ბიზნესმენები. იმის გამო, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში არ არის დაცული ბიზნესი, გამეფებულია ტოტალური კორუფცია და განუკითხაობა, ამ რეგიონში მცხოვრები მენარმეებისთვის საქართველოს ეკონომიკაში ინვესტირება შესაძლოა უფრო მომგებიანი გახდეს. გარდა ინვესტიციებისა, საჭიროა სატრანსპორტო დერეფნების განვითარებაც. ჩრდილოკავკასიელებს შეუძლიათ საქართველოს გავლით უმოკლესი გზით დაუკავშირდნენ როგორც შავ ზღვას, ისე თურქეთსა და ირანს.

ცალკე უნდა აღინიშნოს სახალხო დიპლომატია და მისი როლი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზებთან და ოსებთან დიალოგში. ჩრდილოკავკასიელ ხალხებს, განსაკუთრებით ჩერქეზებს, აფხაზებთან მჭიდრო ურთიერთობა აქვთ და შეუძლიათ შუამავლის როლი იკისრონ. ამგვარი თანამშრომლობის მაგალითი უკვე გვაქვს 2012 და 2013 წლების ზაფხულში, როდესაც საქართველოს ჩერქეზი მეგობრების დახმარებით ქალაქ ბათუმსა და ანაკლიაში გაიმართა ქართულ-აფხაზურ-ჩერქეზული საზაფხულო სკოლა, სადაც ათამდე აფხაზი ბავშვი მონაწილეობდა. ვფიქრობთ, სახალხო დიპლომატიით გახდება შესაძლებელი თურქეთში მცხოვრებ აფხაზებთან დიალოგიც. მაგალითად, 2012 წელს ქალაქ სტამბოლში გამოიფინა თბილისის არქივიდან გამოტანილი ჩერქეზთა გენოციდის ამსახველი დოკუმენტები და ამის ორგანიზებაშიც თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან და ჩერქეზებთან ერთად აფხაზებიც მონაწილეობდნენ.

უდავოდ სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდეს ჩრდილოეთ კავკასიასთან. კავკასიის ქედის ჩრდილოეთი და სამხრეთი მხარე ერთმანეთთან ისტორიულ-კულტურული კავშირებითაა გადაჯაჭვული და მათ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ მშვიდობიანი კეთილმეზობლობა. იმისათვის კი, რომ ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობები განვითარდეს, პირველ რიგში საჭიროა უკეთ ვიცნობდეთ ჩვენს რეგიონსა და ჩვენს უშუალო სამეზობლოს.

**კავკასიელ ხალხთა დეპორტაცია** – მეორე მსოფლიო ომის დროს იოსებ სტალინი და საბჭოთა ხელმძღვანელობა ზოგ ჩრდილოკავკასიელ ხალხს არასანდოდ მიიჩნევდა. მათი აზრით არსებობდა რისკი, რომ ისინი ფაშისტური გერმანიის მხარეზე გადავიდოდნენ. რისკის თავიდან აცილების გზად ამ ხალხების ციმბირსა და შუა აზიაში დეპორტაცია მიიჩნის. საბჭოთა ხელისუფლებამ გაასახლა ყარაჩაელები (1943), ჩეჩნები, ინგუშები და ბალყარელები (1944). სტალინის გარდაცვალების შემდეგ ამ ხალხების დიდი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა.



ინგუშების ოჯახი ყაზახეთში, კალინინის ცხენდართან

რუსეთის იმპერიის შემოსვლამდე ჩერქეზები რაოდენობრივად კავკასიის ყველაზე დიდ ერს წარმოადგენდნენ. თუმცა, რუსეთის იმპერიული პოლიტიკა ითვალისწინებდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მისი მკვიდრებისგან განმედასა და მათ ადგილზე მორჩილი ხალხების დასახლებას. ამ მიზნით, XIX საუკუნეში დაიწყო ჩერქეზი ერის მიზანმიმართული განადგურება ან გასახლება ოსმალეთის იმპერიაში. ამ მოვლენების პიკი იყო 1864 წლის 21 მაისი, როდესაც სოჭის მახლობლად სოფელ ქბაადეში (ამჟამინდელი კრასნაია პოლიანა) გაიმართა უკანასკნელი ბრძოლა ჩერქეზებსა და რუსებს შორის. ბრძოლის შემდეგ მთელი ჩერქეზეთის მასშტაბით მოეწყო სასაკლაო. გენოციდის შედეგად ჩერქეზთა 90 პროცენტი ან ფიზიკურად განადგურდა, ან გაასახლეს ოსმალეთის იმპერიაში. აღსანიშნავია, რომ თითქმის 150 წლის შემდეგ რუსეთმა სწორედ კრასნაია პოლიანაში, ჩერქეზთა ყლექტის ადგილას, ჩაატარა სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშები.



ჩერქეზების აქცია სოჭის ოლიმპიადის წინააღმდეგ